# ხელშეკრულება N104

## საარქივო მომსახურების გაწევის შესახებ

ჩოხატაური 19. 05. 2016 წ.

ერთი მხრივ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ირაკლი კუჭავას სახით და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ეროვნული არქივი (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ჩოხატაურის ადგილობრივი წარმომადგენლის, ქეთევან ოსეფაიშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების საქართველოს კანონის 10 პრიმა მუხლის მესამე პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, შემსყიდველის 2008-2009 წლების ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს საარქივო დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება (CPV:79995100), რომელიც საჭიროების გათვალისწინებით, მოიცავს:

ა)დოკუმენტებისა და საქმეების მიწესრიგებას შედგენილი გეგმის მიხედვით, საქმეების სისტემატიზაციას წლების და სტრუქტურული ნაწილების მიხედვით;

ბ) დოკუმენტების სამეცნიერო და პრაქტიკულ ექსპერტიზას;

გ)საქმის ფორმირებას, საქმეში ფურცლების სისტემატიზაციას, საბუთების შედგენას, საქმეების შეკერვას და ფურცლების ნუმერაციას;

დ)ყდების გაფორმებას, დამოწმებული ფურცლების ჩაწებებას, შესაბამის საქმეთა სისტემატიზაციას, საქმეებისა და დოკუმენტების გასანადგურებლად გამოყოფას და შესაბამისი აქტის შედგენას;

ე)მიმწოდებლის მიერ დაბეჭდილი ანაწერების შეკერვას, შენაკრავების განლაგებას სათანადო წესის მიხედვით და სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებების გაწევას.

### 2. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება

2.1.წინამდებარე ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება 1046 (ათას ორმოცდაექვსი) ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

2.2.წინამდებარე ხელშეკრულების „2.1" პუნქტში მითითებული ღირებულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ გაწეული მომსახურებების მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული თანხის გათვალისწინებით.

2.3.წინამდებარე ხელშეკრულების საერთო საბოლოო ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის/აქტების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს წინამდებარე ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულებისა.

2.4.მომსახურების ღირებულების გაანგარიშებისას გამოიყენება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის

6.2.თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი მოსაზრებები წერილობითი ფორმით.
6.3.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა ორმხრივი შეთანხმების გზით, რომელიც ფორმდება წერილობითი შეთანხმების სახით.

## 7. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

მხარეებს შეუძლიათ ვადამდე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

ა)მიმწოდებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ აღმოჩნდა, რომ შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების დროულად გადახდას;

ბ)შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არშესრულების ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;

გ)წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წერილობითი ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე 10 სამუშაო დღით ადრე;

დ)წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ე)წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 8. ფორს-მაჟორი

8.1.წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2.ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს: ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

## 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1.ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში შემსყიდველი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მიმწოდებელს უხდის პირგასამტეხლოს წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
9.2.საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს შემსყიდველს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

## 10. დავის გადაწყვეტა

10.1.მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

10.2.ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაჭრელად დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 19 აგვისტოს ჩათვლით.

## 12. დასკვნითი დებულებები

12.1.წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია, განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

12.2.წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, მეორე კი მიმწოდებელს.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი
ანგარიშის N
ს/კ 242008705

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

_______________ ირაკლი კუჭავა
ტელეფონი: 593 99 41 14

მიმწოდებელი
სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ანგარიშის № 707447080
ს/კ 211358957

ჩოხატაურის ადგილობრივი წარმომადგენელი

_______________ [illegible]სეფაიშვილი
ტელეფონი: 5 95 [illegible]

# დოკუმენტების სამეცნიერო - ტექნიკური დამუშავების სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N 506 დადგენილების „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" განაკვეთების შესაბამისად დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებისათვის გათვლილია შემდეგი ხარჯთაღრიცხვა:

| N | N რიგზე | მომსახურების დასახელება | საზომი ერთეული | საქმეთა რაოდენობა | საფასური ლარებში დღგ | თანხა ლარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | 1.2 | დოკუმენტებისა და საქმეების მოწესრიგების გეგმის შედგენა 1*17.70=17.70 | 1 გეგმა | 1 | 17.70 | 17.70 |
| 2 | 1.3.1 | დოკუმენტთა და საქმეთა ფონდების კუთვნილების განსაზღვრა და დაზუსტება: მმართველობითი, შემოქმედებითი და სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის 500*0.30=150 | 1 შეს. ერთეული | 500 | 0.30 | 150.00 |
| 3 | 1.4.2. | საქმეთა სისტემატიზაცია წლებისა და სტრუქტურული ნაწილების მიხედვით ექსპერტიზის ჩატარებამდე 500*0.50/10=25 | 10შეს. ერთეული | 500 | 0.50 | 25.00 |
| 4 | 1.6.1.1. | სამეცნიერო და პრაქტიკული შემფასებელი ექსპერტიზა მმართველობითი დოკუმენტების ფურცლობრივი გადათვალიერებით 260*1.00=260 | 1 შეს. ერთეული | 260 | 1.00 | 260.00 |
| 5 | 1.6.1.2 | სამეცნიერო და პრაქტიკული შემფასებელი ექსპერტიზა მმართველობითი დოკუმენტების ფურცლობრივი გადათვალიერების გარეშე 240*1.65/10=39.60 | 10 შეს. ერთეული | 240 | 1.65 | 39.60 |
| 6 | 1.11. | საქმეების სათაურების შედგენა 260*1.10=286 | 1 სათაური | 260 | 1.10 | 286.00 |
| 7 | 1.15 | არასწორად ფორმირებულ საქმეთა დაშლა, სამაგრების ამოღება 40*0.15=6 | 1 საქმე | 40 | 0.15 | 6.00 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 1.16.1 | მმართველობითი საქმეების შეკერვა<br>48*0.35 =16.80 | 1 შეს. ერთეული | 48 | 0.35 | 16.80 |
| 9 | 1.16.2 | პირადი შემადგენლობის საქმეების შეკერვა<br>24*0.15= 3.60 | 1 შეს. ერთეული | 24 | 0.15 | 3.60 |
| 10 | 1.17 | საქმეში ფურცლების ნუმერაცია და ხელახლა გადანომრა<br>2600*0.85/100=22.10 | 100 ფურცელი | 2600 | 0.85 | 22.10 |
| 11 | 1.18. | საქმის ყდის გაფორმება 260*0.20=52 | 1 ყდა | 260 | 0.20 | 52.00 |
| 12 | 1.19 | დამამოწმებელი ფურცლების შევსება და ჩაკერება (ჩაწებება)<br>260*0.20/10=5.20 | 10 ფურცელი | 260 | 0.20 | 5.20 |
| 13 | 1.21 | საქმის ყდაზე საარქივო შიფრისა და შტამპის დასმა 260*0.30/10=7.80 | 10 შეს. ერთეული | 260 | 0.30 | 7.80 |
| 14 | 1.22. | საქმეთა მოთავსება ყუთებში ან საქმეთა შენაკრავების ფორმირება<br>260*0.35/10=9.10 | 10შეს. ერთეული | 260 | 0.35 | 9.10 |
| 15 | 1.23. | იარლიყების შედგენა 15*0.20=3.00 | 1 იარლიყი | 15 | 0.20 | 3.00 |
| 16 | 1.24 | შენაკრავების განლაგება<br>15*0.60/10=0.90 | 10 (შენაკრავი) | 15 | 0.60 | 0.90 |
| 17 | 1.25 | მოწესრიგების პროცესში საქმეთა გადაადგილება დაწესებულების არქივსაცავიდან სამუშაო ოთახში<br>500*0.20/10=10 | 10 შეს. ერთეული | 500 | 0.20 | 10.00 |
| 18 | 1.26.1. | საქმის ანაწერის შედგენა დაბეჭდვა<br>260*0.15=39 | 1 სათაური | 260 | 0.15 | 39.00 |
| 19 | 1.27.2 | ანაწერების წინასიტყვაობის შედგენა რაიონული მნიშვნელობის დაწესებულების | 1 წინასიტყვაობა | 1 | 28.00 | 28.00 |
| 20 | 1.29. | ანაწერის გაფორმება 3*10.00=30.00 | 1 ანაწერი | 3 | 10.00 | 30.00 |
| 21 | 1.31 | აქტის შედგენა იმ საქმეებისა და დოკუმენტების განადგურების შესახებ, რომლებიც არ ექვემდებარება შენახვას<br>12*0.30=3.60 | აქტი 1 პოზიცია | 12 | 0.30 | 3.60 |
| 22 | 1.32 | იმ საქმეთა შენაკრავების ფორმირება, რომლებიც არ ექვემდებარება შენახვას<br>240*0.15/10=3.60 | 10 შეს. ერთეული | 240 | 0.15 | 3.60 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 23 | 1.34. | დოკუმენტების მოწესრიგების დამთავრების შესახებ აქტების შედგენა 2*11.00=22.00 | 1 აქტი | 2 | 11.00 | 22.00 |
| 24 | 1.35 | საქმეთა გამტვერიანება 500*1/100=5 | 100 შეს. ერთეული | 500 | 1.00 | 5.00 |
| | | სულ: | | | | 1046 |

სულ: 1046 (ათას ორმოცდაექვსი).

საქართველოს ეროვნული არქივის
ტერიტორიული ორგანოს -
ჩოხატაურის ადგილობრივი წარმომადგენელი: [illegible] ხეჟაიშვილი

**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 100**

ჩოხატაური

18 მაისი 2016 წელი

ერთის მხრივ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის **გამგებლის ირაკლი კუჭავას** სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ **შ.პ.ს „მარულა+" მისი დირექტორის პაატა ოსეფაიშვილი სახით** (შემდგომში მიმწოდებელი) ვდებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი.

**წარმომადგენლობითი ხარჯები (ღონისძიებებზე სტუმრების მიღება)**

1.1 დაფინანსების წყარო --- **ადგილობრივი ბიუჯეტი** (კლასიფიკატორის CPV კოდი 55300000 )

საფუძველი: საქ.კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მე-10[1] მუხლის 3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი

შესყიდვის მეთოდი: გამარტივებული შესყიდვა

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1000 (ათასი)** ლარი.

მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები.

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა **2016 წლის 31 დეკემბერი**

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ჩოხატაური

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2017 წლის 30 იანვარი.**

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია.

5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში.

5.2 შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს ხარვეზები რომელიც აუარესებს მისი გამოყენების მაჩვენებელს.

5.3 „შემსყიდველი" ვალდებულია წერილობით აცნობოს მიმწოდებელს ხარვეზების შესახებ.

5.4 შეტყობინების მირების შემდეგ „მიმწოდებელი" ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას არსებული ხარვეზები.

6. ხელშეკრულების ინსპექტირება.

6.1 ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირებას აწარმოებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ან უფლებამოსილი პირი..

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია ინსპექტირების დროს უზრუნველყოს შემსყიდველი ორგანიზაცია აუცილებელი პერსონალითა და ტექნიკური საშუალებებით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარება.

7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ობიექტის მიღება ხდება შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის ან უფლებამოსილი პირის მიერ.

7.2 ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ყველა ხარვეზი.

7.3 მიღება ჩაბარების აქტთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი.

8. ანგარიშწორების ფორმები, გრაფიკი, ვადები.

8.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშწორება განხორციელდება ლარებში.

8.2 ანგარიშწორების ფორმა უნაღდო.

8.3 წინასწარი საავანსო ანგარიშწორება მოხდება საბანკო გარანტიის შესაბამისად ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა უმეტეს ------------ % ოდენობით.

8.4 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბაკო ან სადაზღვეო გარანტიის ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების შესრულების ვადას.

8.5 ანგარიშწორება შეიძლება განხორციელდეს როგორც მთლიანად ასევე ეტაპობრივად. მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

9. მხარეთა უფლება მოვალეობანი.

9.1 შემსყიდველს უფლება აქვს ინსპექტირების ჯგუფის ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე: -საქართველოს კანონის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

9.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს მოითხოვოს „შემსყიდველის"-აგან მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შეუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში.

...ებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი ...ული კალენდარული დღისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ... ღირებულების 0,2% ოდენობით.

...2 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%..

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის აუცილებლობა.

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობით ფორმით, მხარეთ შეთანხმების საფუძველზე.

11.2 ხელშეკრულების პირობების და ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებით იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა

11.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს მაჟორი.

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე. თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით როგორიც წყალდიდობაა,ხანძარი,მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები. აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2.მხარე, რომელსაც შექმნა ფორს მაჟორული სისტემის დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წარმოშობილი დავები და აზრთა სხვადასხვაობა გადაწყვეტილი იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებმა მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი" ---------------------------------------- ი.კუპრავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
საიდ/კოდი 242008705

„მიმწოდებელი" ---------------------------------------- პ.ოსეფაიშვილი

შ.პ.ს „მარულა+"
საინ/კოდ 242008876
ს.ს. ლიბერთი ბანკის
ჩოხატაურის ფილიალი
საინდ. კოდი LIBERT122
ანგ. № GE23LB0113125390548000